თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6361007

ნომერი: AR1952292

თარიღი : 01.03.2023

გაცემის თარიღი : 10.03.2023

გაცნობის თარიღი : 10.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ზურგოვანი;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ელისაბედ ბეჟაშვილი პ/ნ 01024071363
- ფანასკერტელის ქ. 9

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს "ელიტ ზურგოვანი დეველოპმენტი" კოდი: 405524543

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 1 მარტის №AR1952292 განცხადებით მომართა ელისაბედ ბეჟაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებით, ქ. თბილისში, სოფელ ზურგოვანში მდებარე №01.72.14.014.179 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ორი ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, განმცხადებელი უთითებს, რომ ბრძანებაში „ორი ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლის“ ნაცვლად მითითებულია „ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლი“.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 20 სექტემბრის №AR1917618 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.72.14.014.179 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ორი ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის საინფორმაციო დაფა (ბანერი) და შენობა-ნაგებობის განთავსების სქემა, საიდანაც დგინდება რომ განმცხადებელს სურდა ორი ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

ამასთან, №AR1917618 განცხადებაზე ობიექტის ფუნქციური დანიშნულების ველშიც მითითებულია ორი ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლი. სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად, საპროექტო ობიექტად ორი ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად დაფიქსირდა ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებაში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს ორი ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლი.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 4 ოქტომბრის №6137577 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.